სუს

სურსათის
ეროვნული
სააგენტო

მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდება

პრეზენტაციის სარჩევი

- ისტორიის მოკლე მიმოხილვა;
- ნორმატიული აქტები;
- საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 1 ივლისის #301 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი - მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ მიმოხილვა;
- ბიზნესოპერატორის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები;
- ადმინისტრირება;
- სახელმწიფო კონტროლი;
- გარდამავალი პერიოდი.

ისტორიის მოკლე მიმოხილვა

- პირველი ნორმატიული აქტი სურსათის ეტიკეტირებასთან დაკავშირებით - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის 11 დეკემბრის #2-231 ბრძანება „სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“.
- 2013 წლის 31 დეკემბერს აღნიშნული ნორმატიული აქტის საფუძველზე მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება #441 - ტექნიკური რეგლამენტის „სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე.
- ორივე ეს ნორმატიული აქტი მიღებული იქნა ევროკავშირის 2000 წლის 20 მარტის #2000/13 დირექტივის „სურსათის ეტიკეტირებასთან, წარდგენასთან და რეკლამასთან დაკავშირებით წევრი ქვეყნების კანონების შესაბამისობაში მოყვანის შესახებ“ მიხედვით.

ისტორიის მოკლე მიმოხილვა

- ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (**DCFTA**) გეგმის მიხედვით, საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 1 ივლისს მიღებული იქნა #301 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ დამტკიცების შესახებ.
- ტექნიკური რეგლამენტი ძალაში შევა **2019 წლის 1 მარტს.**
- ტექნიკური რეგლამენტი მიღებული იქნა ევროკავშირის #1169/2011 რეგულაციის მიხედვით.

ნორმატიული აქტები

- **საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 1 ივლისის #301 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“.**
- საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“.
- საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“.
- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის #90 დადგენილება „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“.
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის #198 დადგენილება „ბიოწარმოების შესახებ“.

ნორმატიული აქტები

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის #719 დადგენილება „დაფასოებული ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 ივლისის #376 დადგენილება „ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის #152 დადგენილება „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.
- საქართველოს კანონი „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“.

ნორმატიული აქტები

- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის #320 დადგენილება „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“.
- საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“.
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის #118 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“.
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აპრილის #185 დადგენილება „თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.

ნორმატიული აქტები

- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის #510 დადგენილება „სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“.
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის #508 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი – ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ.
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის #585 დადგენილება „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 დეკემბრის #536 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - ხილის წვენისა და ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი სხვა მსგავსი პროდუქტების დამტკიცების შესახებ“.
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის #554 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - სპირტიანი სასმელების შესახებ დამტკიცების თაობაზე“.

ტექნიკური რეგლამენტი - მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე

საქართველოს მთავრობის დადგენილება №301
2016 წლის 1 ივლისი

მიზანი და რეგულირების სფერო

- ტექნიკური რეგლამენტი მიზნად ისახავს სურსათის შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით მომხმარებელთა უფლებების დაცვას და შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფას.
- ტექნიკური რეგლამენტი ადგენს სურსათის ეტიკეტზე განთავსებულ ინფორმაციასთან დაკავშირებულ ზოგად პრინციპებს, მოთხოვნებს და ინფორმაციის წარდგენის პროცედურებს.
- ტექნიკური რეგლამენტი ვრცელდება სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებულ სურსათზე, რომელიც განკუთვნილია საბოლოო მომხმარებლისათვის, მათ შორის საზოგადოებრივი კვების ობიექტების მიერ და ასევე, საზოგადოებრივი კვების ობიექტებისათვის მიწოდებულ სურსათზე.

ზოგიერთი ტერმინის განმარტება

- **სურსათი** - ადამიანის საკვებად განკუთვნილი ნებისმიერი გადამუშავებული, ნაწილობრივ გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი პროდუქტი. სურსათი ასევე მოიცავს ყველა სახის სასმელს (მათ შორის, სასმელ წყალს), საღეჭ რეზინს და სურსათში გამოსაყენებელ ნებისმიერ ნივთიერებას (წყლის ჩათვლით), რომელიც გამოიყენება სურსათის შემადგენლობაში მისი წარმოებისა და გადამუშავების დროს.
- **სურსათი არ მოიცავს:** ცხოველის საკვებს, ცოცხალ ცხოველებს (გარდა იმ ცხოველებისა, რომლებიც გამზადებულია ბაზარზე განსათავსებლად, ადამიანის მიერ მოხმარებისათვის), მცენარეებს (მოსავლის აღებამდე), სამკურნალო და ჰომეოპათიურ საშუალებებს, თამბაქოს და თამბაქოს პროდუქტებს, ნარკოტიკულ საშუალებებს და ფსიქოტროპულ ნივთიერებებს, კოსმეტიკურ საშუალებებს, ნარჩენებსა და დამაბინძურებლებს.

ზოგიერთი ტერმინის განმარტება

- **სურსათის შესახებ ინფორმაცია -** სურსათთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც საბოლოო მომხმარებელს მიეწოდება ეტიკეტის, სხვა თანმხლები მასალის, ან სხვა ნებისმიერი საშუალებით, **მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიური ინსტრუმენტების ან ვერბალური კომუნიკაციის გამოყენებით.**
- **რეკლამა -** ვაჭრობასთან, ბიზნესთან, უნარებთან (ცოდნა) დაკავშირებული ინფორმაციის ნებისმიერი ფორმით წარდგენა, პროდუქციის, მათ შორის უძრავი ქონების, მომსახურების, უფლებების და მოვალეობების მიწოდების ხელშეწყობისათვის.
- **კომუნიკაციის დისტანციური საშუალებები** – ნებისმიერი საშუალება, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის ხელშეკრულების გაფორმებისათვის ერთდროული ფიზიკური შეხვედრის გარეშე.

ზოგიერთი ტერმინის განმარტება

- **ეტიკეტი** - სურსათის შეფუთვაზე ან ტარაზე (კონტეინერზე) ან თანდართულ დოკუმენტში წერილობითი, ბეჭდური, შაბლონის, აღნიშნული ან ამოტვიფრული სახით განთავსებული იარლიყი, თანდართული ან მიმაგრებული ნებისმიერი იარლიყი (ბირკა), სასაქონლო ნიშანი (ბრენდი), სავაჭრო ნიშანი (მარკა), გრაფიკული ან სხვა აღწერილობითი გამოსახულება.
- **ეტიკეტირება** - ნებისმიერი სიტყვა, მონაცემი, სავაჭრო ნიშანი, სასაქონლო ნიშანი (ბრენდი), გრაფიკული გამოსახულება, აღწერილობითი გამოსახულება ან სიმბოლო, რომელიც დაკავშირებულია სურსათთან და განთავსებულია სურსათის ნებისმიერ შეფუთვაზე, ეტიკეტზე, ბეჭედზე ან საყელოზე **ან მოცემულია თანდართულ დოკუმენტში.**

სამართლიანი საინფორმაციო პრაქტიკა

სურსათის შესახებ ინფორმაცია არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი მ/შ:

- ✓ სურსათის მახასიათებლების, კერძოდ მისი ბუნების, სახეობის, თვისებების, შემადგენლობის, რაოდენობის, ვარგისიანობის ვადის, წარმოშობის ქვეყნის ან წარმოშობის ადგილის, წარმოების ან დამზადების მეთოდის შესახებ;
- ✓ **არ უნდა იძლეოდეს ინფორმაციას** სურსათის ისეთი თვისებებისა და ზეგავლენის შესახებ, რაც სურსათს არ ახასიათებს;
- ✓ **არ უნდა მიუთითებდეს,** რომ სურსათს ახასიათებს განსაკუთრებული თვისებები, როდესაც ფაქტობრივად ეს თვისებები სხვა მსგავს სურსათსაც ახასიათებს, განსაკუთრებით, განსაზღვრული ინგრედიენტების ან/და საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტები) შემცველობის ან არშემცველობის შესახებ;
- ✓ **ვიზუალურად, აღწერით ან გრაფიკული გამოსახულებით** არ უნდა მიუთითებდეს სურსათში იმ საკვები ნივთიერების (ნუტრიენტები) ან ინგრედიენტის შემცველობის შესახებ, როდესაც იგი აღნიშნული სურსათის ბუნებრივ კომპონენტს წარმოადგენს.

სამართლიანი საინფორმაციო პრაქტიკა

სურსათის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს:

- ✓ ზუსტი, მკაფიო და მომხმარებლისათვის ადვილად გასაგები;
- ✓ სურსათის შესახებ ინფორმაციაში არ უნდა იყოს არანაირი მინიშნება დაავადების განკურნების ან სურსათის სამკურნალო თვისებების შესახებ, გარდა ბუნებრივ მინერალურ წყლებსა და განსაკუთრებულ დიეტურ სურსათთან დაკავშირებული ინფორმაციისა.

სურსათის შესახებ სავალდებულო ინფორმაციის წარდგენა-სავალდებულო მონაცემების ჩამონათვალი

1	სურსათის დასახელება (სახეობა)
2	ინგრედიენტების ჩამონათვალი
3	ალერგიის გამომწვევი ან მომეტებული მგრძნობელობის მქონე ნივთიერებების ან პროდუქტების აღნიშვნა განსხვავებული ფორმით
4	გამოყენებული ინგრედიენტის ან ინგრედიენტების კატეგორიების რაოდენობა
5	სურსათის ნეტო (სუფთა) წონა
6	ვარგისიანობის მინიმალური ვადის გასვლის ან „გამოიყენება ... მდე“ თარიღი
7	შენახვის ან გამოყენების ნებისმიერი განსაკუთრებული პირობები
8	ბიზნესოპერატორის დასახელება და მისამართი
9	სურსათის წარმოშობის ქვეყანა ან წარმოშობის ადგილი
10	სურსათის გამოყენების ინსტრუქცია, თუ ინსტრუქციის გარეშე ვერ ხდება სურსათის შესაბამისად გამოყენება
11	სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაცია სასმელისათვის, რომლის მოცულობითი სპირტშემცველობა აღემატება 1.2% - ს
12	ინფორმაცია კვებითი ღირებულების შესახებ
13	დამზადების თარიღი ან პარტიის ნომერი

სურსათის შესახებ სავალდებულო ინფორმაციის წარდგენა

- სურსათის შესახებ სავალდებულო ინფორმაცია ადვილად უნდა იქნეს ხელმისაწვდომი და წარდგენილი უნდა იყოს ყველა სახეობის სურსათისათვის ამ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.
- დაფასოებული სურსათის შემთხვევაში, სურსათის შესახებ სავალდებულო ინფორმაცია თვალსაჩინოდ უნდა იქნეს განთავსებული **უშუალოდ შეფუთვაზე ან მასზე მიმაგრებულ ეტიკეტზე.**

სურსათის შესახებ სავალდებულო ინფორმაციის წარდგენა

- სურსათის შესახებ სავალდებულო ინფორმაცია წარდგენილი უნდა იქნეს გამოსაჩენ (შესამჩნევ) ადგილზე, გარკვევით, უნდა იყოს მკაფიო, შეუძლებელი უნდა იყოს მისი წაშლა.
- ინფორმაცია სრულად ან ნაწილობრივ არ უნდა იყოს გადაფარული სხვა ნებისმიერი წარწერით, გრაფიკული გამოსახულებით ან სხვა მასალით, რომელიც შეუძლებელს გახდის ინფორმაციის აღქმას.
- სურსათის კონკრეტული სახეობისათვის სავალდებულო მონაცემები განთავსებულ უნდა იქნეს **შეფუთვაზე ან მასზე მიმაგრებულ ეტიკეტზე.**

სურსათის შესახებ სავალდებულო ინფორმაციის წარდგენა

- სურსათის შესახებ სავალდებულო ინფორმაცია მითითებული უნდა იქნეს როგორც სიტყვიერად, ასევე ციფრებით.
- **შესაძლებელია** მათი გამოსახვა დამატებით პიქტოგრამების ან სიმბოლოების სახით.
- **დასაშვებია** სურსათის შესახებ სავალდებულო ინფორმაცია სრულად ან ნაწილობრივ გამოსახული იქნეს მხოლოდ პიქტოგრამის ან სიმბოლოების სახით, ნაცვლად სიტყვებისა და ციფრებისა, იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნება ინფორმირებულობის იგივე ხარისხი, რაც გამოსახულია სიტყვებით ან ციფრებით.

სურსათის შესახებ სავალდებულო ინფორმაციის წარდგენა

- შეფუთვაზე და ეტიკეტზე ინფორმაცია განთავსებული უნდა იყოს მკაფიოდ, გარკვევით იკითხებოდეს და გამოყენებული შრიფტის ზომაში ნუსხური (პატარა) ასოს სიმაღლე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1.2 მმ-ს.
- შეფუთული ან ტარაში მოთავსებული სურსათისათვის, რომლის ყველაზე დიდი ზედაპირის ფართობი 80 სმ^2-ზე ნაკლებია, ნუსხური (პატარა) ასოს სიმაღლე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 0.9 მმ-ს.

სურსათის შესახებ სავალდებულო ინფორმაციის წარდგენა

- სურსათის შესახებ სავალდებულო ინფორმაცია წარდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.
- **დასაშვებია** სავალდებულო ინფორმაცია, გარდა ქართული ენისა, წარდგენილი იქნეს ევროკავშირის ოფიციალური ენებიდან ერთ-ერთ ენაზე.
- **ასევე შესაძლებელია** მონაცემების წარდგენა რამდენიმე ენაზე.

სურსათის დასახელება

- სურსათის სახელწოდება არის მისი **ოფიციალური დასახელება (სახეობა).**
- ამგვარი სახელწოდების არქონის შემთხვევაში სურსათის სახელწოდებად ჩაითვლება მისი **ჩვეული დასახელება (სახეობა).**
- თუ არ არსებობს ან არ გამოიყენება სურსათის ჩვეული დასახელება (სახეობა), სურსათის სახელწოდებად უნდა ჩაითვალოს მისი **აღწერითი დასახელება (სახეობა).**
- **დასაშვებია** სურსათის იმ დასახელების გამოყენება, რომლითაც იგი იწარმოება ევროკავშირის ქვეყნებში კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

სურსათის დასახელება

- იმ შემთხვევაში, როცა მომხმარებლის მიერ ვერ ხდება სურსათის ნამდვილი ბუნების დადგენა ან მსგავსი სურსათისაგან განსხვავება, **სურსათის დასახელებას თან უნდა დაერთოს აღწერილობითი ინფორმაცია,** რომელიც განთავსებული იქნება უშუალოდ სურსათის დასახელებასთან ახლოს.
- თუ მწარმოებელ ქვეყანაში სურსათის დასახელება, მისი წარმოების მეთოდისა და შედგენილობის მიხედვით განსხვავებულია და მონაცემები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა მიიღოს სურსათის შესახებ სწორი ინფორმაცია, **დაუშვებელია** სურსათის იმ დასახელების გამოყენება, რომლითაც იგი იწარმოება მწარმოებელ ქვეყანაში.
- სურსათის დასახელება არ უნდა იქნეს შეცვლილი სახელწოდებით, რომელიც დაცულია როგორც **ინტელექტუალური საკუთრება, სავაჭრო ნიშანი ან წარმოსახვითი სახელი (ფანტაზიის ნაყოფი).**

სურსათის დასახელება და სპეციალური თანმხლები მონაცემები

- სურსათის დასახელება უნდა მოიცავდეს მონაცემებს სურსათის ფიზიკური მდგომარეობის ან სპეციალური დამუშავების შესახებ, რომელსაც იგი დაექვემდებარა **(მაგალითად, დაფქვა, ხელმეორედ გაყინვა, მშრალად გაყინვა, სწრაფად გაყინვა, კონცენტრირება, შებოლვა).**
- ეს მონაცემები განთავსებული უნდა იქნეს სურსათის დასახელების გვერდით ყველა შემთხვევაში, როდესაც ამ მონაცემის მითითების გარეშე შესაძლოა მომხმარებელი შეცდომაში იქნეს შეყვანილი.
- სურსათისათვის, რომელიც გაყინულ იქნა რეალიზაციამდე და რეალიზაცია ხდება გამლღვალ მდგომარეობაში, სურსათის დასახელების გვერდით მითითებული უნდა იქნეს **„გამლღვალი“ („გალღობილი“).**

სურსათის დასახელება და სპეციალური თანმხლები მონაცემები

- სურსათზე, რომელიც დაექვემდებარა მაიონიზებელი სხივებით დამუშავებას, მითითებული უნდა იყოს აღნიშვნა: **„დასხივებული“** ან **„დამუშავებულია მაიონიზებელი გამოსხივებით“**, ან დასაშვებია დასხივების საერთაშორისო სიმბოლოს გამოყენება.

- ხორცის პროდუქტები, ხორცის ნახევარფაბრიკატები (დამზადებული ხორცი) და თევზჭერის პროდუქტები, რომელთა შემადგენლობაში დამატებულია ცხოველური წარმოშობის სხვა ცილა, ჰიდროლიზირებული ცილის ჩათვლით, სურსათის დასახელებაში მითითებული უნდა იქნეს ამ ცილებისა და მათი წარმოშობის შესახებ.

სურსათის დასახელება და სპეციალური თანმხლები მონაცემები

- ხორცის პროდუქტების, ხორცის ნახევარფაბრიკატების (დამზადებული ხორცი), რომელიც წარმოდგენილია ნაჭრების, საკლავის დაჩეხილი ნაწილების, ნაკუწების, ხორცის ან ტანხორცის ნაწილებით, დასახელებაში **მითითებული უნდა იქნეს დამატებული წყლის რაოდენობის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ დამატებული წყალის რაოდენობა მზა პროდუქტის წონის 5%-ს აღემატება.** ეს მოთხოვნა ვრცელდება თევზჭერის პროდუქტების და თევზჭერის მზა პროდუქტების მიმართაც, თუ ისინი წარმოდგენილია ნაჭრების, ნაკუწების, ნაწილების, პორციის, ფილეს ან მთლიანი თევზჭერის პროდუქტების სახით.
- ხორცის პროდუქტები, ხორცის ნახევარფაბრიკატები (დამზადებული ხორცი) და თევზჭერის პროდუქტები, რომელიც შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს თევზის ან ხორცის მთლიან ნაჭრად, მაგრამ წარმოადგენს მცირე ზომის ნაჭრებს, რომლებიც შეკავშირებულია სხვა ინგრედიენტებით,მათ შორის საკვებდანამატებით და საკვები ფერმენტებით ან სხვა საშუალებებით, ეტიკეტზე აღნიშნული უნდა იქნეს როგორც: **„ფორმირებული ხორცი“ და „ფორმირებული თევზი“.**

ინგრედიენტების ჩამონათვალი

- ინგრედიენტების ჩამონათვალი წარმოდგენილი უნდა იქნეს საერთო სათაურის **„ინგრედიენტების“** შემდეგ.
- ჩამონათვალი უნდა მოიცავდეს სურსათის წარმოებაში გამოყენებულ ყველა ინგრედიენტს, რომელთა მითითება უნდა მოხდეს წონის კლებადობის მიხედვით, წარმოებაში გამოყენებისას.
- ინგრედიენტები მითითებული უნდა იქნეს **სპეციალური (კონკრეტული) დასახელებით.**
- თუ ინგრედიენტად გამოყენებულია ხელოვნური ნანომასალა, აუცილებელია მისი მითითება ინგრედიენტების ჩამონათვალში და მის დასახელებასთან ერთად ბრჭყალებში მითითებული უნდა იქნეს სიტყვა **„ნანო“.**

რა შემთხვევაშია ინგრედიენტების რაოდენობის მითითება სავალდებულო?

- **ინგრედიენტი ან ინგრედიენტის კატეგორია** მოცემულია სურსათის დასახელებაში, ან მომხმარებლისათვის მათი დასახელება გაიგივებულია სურსათის დასახელებასთან, ან წარმოადგენს ძირითად ინგრედიენტს (50%-ზე მეტი).
- **ინგრედიენტი ან ინგრედიენტის კატეგორია** ეტიკეტზე მკაფიოდ არის გამოყოფილი სიტყვით, ნახატით ან გრაფიკული გამოსახულებით.
- **ინგრედიენტი ან ინგრედიენტის კატეგორია** აღწერს სურსათს, რაც საშუალებას იძლევა მომხმარებელმა განასხვავოს დასახელებით და გარეგნული ფორმით მსგავსი სურსათისაგან.

ინგრედიენტების ჩამონათვალი არ არის სავალდებულო შემდეგი სურსათისათვის:

- ახალი ხილი და ბოსტნეული, მათ შორის კარტოფილი, რომელიც არ არის გაფცქვნილი, დაჭრილი ან მსგავსად გადამუშავებული;
- გაზირებული წყალი, თუ მის სახელწოდებაში მითითებულია, რომ იგი გაჯერებულია ნახშირორჟანგით;
- ძმარი, რომელიც მიღებულია მხოლოდ ერთი ძირითადი პროდუქტის ფერმენტაციით და არ არის გამოყენებული არცერთი სხვა ინგრედიენტი;
- ყველი, კარაქი, ფერმენტირებული რძე (რძემჟავა პროდუქტი) და ნაღები, რომელსაც არ აქვს დამატებული არცერთი ინგრედიენტი, გარდა რძის კომპონენტებისა, საკვები ფერმენტებისა და შესაბამისი მიკროორგანიზმებისა, რომელიც აუცილებელია მათი წარმოებისათვის, ხოლო ყველის შემთხვევაში, გარდა მოუმწიფებელი და მდნარი ყველისა (გადამუშავებული ყველისა), მარილი, რომელიც გამოიყენება მათ დასამზადებლად.

ინგრედიენტების ჩამონათვალი არ არის სავალდებულო:

- **სურსათისთვის, რომელიც შედგება მხოლოდ ერთი ინგრედიენტისაგან, თუ:**

- სურსათის დასახელება ინგრედიენტის დასახელების იდენტურია;
- სურსათის დასახელება შესაძლებლობას იძლევა გარკვევით განისაზღვროს ინგრედიენტი.

ინგრედიენტების ჩამონათვალში შესაძლებელია არ იყოს შეტანილი

- ინგრედიენტის კომპონენტები, რომლებიც წარმოების პროცესში დროებით მოსცილდა სურსათს და შემდგომში დაემატა მას არაუმეტეს საწყისი რაოდენობით.
- **საკვებდანამატები და საკვები ფერმენტები ერთ-ერთი პირობის გათვალისწინებით:**

✓ თუ მათი არსებობა სურსათში გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ სურსათის ერთი ან რამდენიმე ინგრედიენტი შეიცავდა მათ როგორც გადამტანს (მატარებელს) და მზა სურსათში ისინი არანაირ ტექნოლოგიურ ფუნქციას არ ასრულებენ;

✓ რომლებიც გამოიყენება დამხმარე ტექნოლოგიური დანამატის სახით.

ინგრედიენტების ჩამონათვალში შესაძლებელია არ იყოს შეტანილი

- წყალი:

✓ როდესაც მისი გამოყენება წარმოების პროცესში ხდება გაუწყლოებული (დეჰიდრირებული) ან კონცენტრირებული ინგრედიენტის აღდგენისათვის;

✓ იგი წარმოადგენს თხევად არეს, რომელიც, როგორც წესი, სურსათად არ მოიხმარება.

ინგრედიენტების რაოდენობის აღნიშვნა

- **აღინიშნება პროცენტულად, რომელიც შეესაბამება გამოყენებისას მის რაოდენობას.**
- სურსათში, რომელმაც თერმული ან სხვაგვარი დამუშავების გამო დაკარგა სინესტე, ინგრედიენტების რაოდენობა გამოსახული უნდა იქნეს **პროცენტულად** და უნდა შეესაბამებოდეს მზა სურსათში გამოყენებული ინგრედიენტების რაოდენობას, თუ აღნიშნული რაოდენობა ან ეტიკეტზე აღნიშნული ინგრედიენტების საერთო რაოდენობა არ აღემატება 100%-ს.
- თუ ეტიკეტზე აღნიშნული ინგრედიენტების საერთო რაოდენობა აღემატება 100%-ს, ამ შემთხვევაში რაოდენობა მითითებული უნდა იქნეს მზა სურსათის 100გ-ის მომზადებისათვის გამოყენებული ინგრედიენტების **წონის მიხედვით.**

ალერგენები

- ამ ნივთიერებების ან პროდუქტების დასახელებები გამოყოფილი უნდა იყოს ტიპოგრაფიულად ისე, რომ მკვეთრად განსხვავდებოდეს ინგრედიენტების სხვა ჩამონათვალისაგან **(მაგალითად, შრიფტის ან ფონის სტილითა და ფერით).**
- თუ არ არის ინგრედიენტების ჩამონათვალი, მონაცემების მითითებისას გამოყენებული უნდა იქნეს სიტყვა **„შეიცავს“** და შემდეგ, ამ ნივთიერების ან პროდუქტის დასახელება.
- ალერგენების შესახებ მონაცემების მითითება არ არის სავალდებულო, თუ სურსათის დასახელება აშკარად მიუთითებს მის შემცველობაზე.

საკვებდანამატები და საკვები ფერმენტები

- საკვედანამატების და საკვები ფერმენტები, ეტიკეტზე აღნიშნული უნდა იქნეს კატეგორიის, შემდეგ სპეციალური დასახელების და თუ შესაძლებელია E ნომერის გამოყენებით.
- თუ ინგრედიენტი მიეკუთვნება ერთზე მეტ კატეგორიას, მითითებული უნდა იქნეს ის კატეგორია, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს სურსათში ინგრედიენტის ძირითად ფუნქციას.

არომატიზატორების აღნიშვნა

- **არომატიზატორი** - პროდუქტი, რომელიც ჩვეულებრივ არ გამოიყენება სურსათად და რომლის დამატება ხდება სურსათისათვის არომატის ან/და გემოს მიცემის ან შეცვლის მიზნით.
- არომატიზატორი მზადდება ან შედგება არომატული ნივთიერებების, არომატული პრეპარატების, თერმული ტექნოლოგიური არომატიზატორების, შესაბოლი არომატიზატორების, გემოს პრეკურსორების ან სხვა არომატიზატორების ან მათი ნარევებისაგან.

არომატიზატორების აღნიშვნა

- **არომატიზატორების აღნიშვნა ხდება სპეციალური ტერმინის გამოყენებით:**

- „არომატიზატორი“;
- ან სპეციალური დასახელებით;
- ან არომატიზატორის აღწერით.

- **ქინინი და კოფეინი,** რომლებიც გამოიყენება როგორც არომატიზატორი სურსათის წარმოებაში ან დამზადების დროს, მითითებული უნდა იქნეს ინგრედიენტების ჩამონათვალში შესაბამისი დასახელებით ტერმინი „არომატიზატორ(ებ)ის“ გვერდით.

სურსათის ნეტოს (სუფთა წონა) აღნიშვნა

სურსათის ნეტო (სუფთა) წონა, საჭიროების მიხედვით გამოსახული უნდა იქნეს:

- ზომის ერთეულებით - ლიტრის, სანტილიტრის, მილილიტრის, კილოგრამის ან გრამის საშუალებით, საჭიროების მიხედვით;
- მოცულობის ერთეულებით - თხევადი პროდუქტების შემთხვევაში;
- მასის ერთეულებით - სხვა პროდუქტებისათვის.

სურსათის ნეტოს (სუფთა წონა) აღნიშვნა

- თუ დაფასოებული სურსათი შედგება ორი ან მეტი ინდივიდუალურად შეფუთული ერთეულისაგან, რომელიც შეიცავს ერთი და იმავე დასახელების სურსათის ერთნაირ რაოდენობას, „ნეტო“ (სუფთა) წონის მითითება ხდება ცალკეულ შეფუთვაში „ნეტოს“ და შეფუთული ერთეულების საერთო რაოდენობის შესაბამისად.
- თუ დაფასოებული სურსათი შედგება ორი ან მეტი ინდივიდუალურად შეფუთული ერთეულისაგან, რომლებიც არ განიხილება გასაყიდ ერთეულად, ნეტო (სუფთა) წონა მითითებული უნდა იქნეს ინდივიდუალურად შეფუთული ერთეულების რაოდენობის და საერთო „ნეტო“ წონის მიხედვით.
- თუ მყარი კონსისტენციის სურსათი მოთავსებულია თხევად არეში, მითითებული უნდა იქნეს ასევე სურსათის მშრალი წონის „ნეტო“ (სუფთა) წონაც.

სურსათის ნეტოს (სუფთა წონა) აღნიშვნა არ არის სავალდებულო

- რომელიც წონას ან მოცულობას კარგავს და მათი რეალიზაცია ხდება ცალობით ან უშუალოდ მომხმარებლის თანდასწრებით იწონება;
- რომლის ნეტო (სუფთა) წონა **5 გ-ზე ან 5 მლ-ზე ნაკლებია.** ეს მოთხოვნა არ ვრცელდება სანელებლებზე და ბალახოვან მცენარეებზე (მწვანილზე);
- რომლებიც, როგორც წესი, იყიდება ცალობით (თვლით), იმ პირობით, რომ სურსათის ერთეული რაოდენობა ადვილად შეიძლება დაითვალოს გარედან, ან თუ ეს არ არის შესაძლებელი, რაოდენობა მითითებულია ეტიკეტზე.
- თუ შეფუთული ერთეულების რაოდენობა თვალით აღქმადია და შეფუთვის დარღვევის გარეშე, ადვილად არის შესაძლებელი მათი დათვლა და ამასთან, გარედან, სულ მცირე ერთ შეფუთულ ერთეულზე მაინც წაკითხვადია „ნეტო“ (სუფთა) წონა ისე, რომ არ მოხდეს შეფუთვის დარღვევა.

ვარგისიანობის მინიმალური ვადა

<u>ვარგისიანობის მინიმალური ვადა მითითებული უნდა იქნეს შემდეგი სახით:</u>

- თარიღს წინ უნდა უსწრებდეს შემდეგი სიტყვები: **„უმჯობესია გამოყენებულ იქნეს..... მდე...“**, თუ თარიღი მოიცავს კონკრეტულ დღეს და ეს დღე უნდა იქნეს მითითებული;
- თუ კონკრეტული დღე არ არის განსაზღვრული, მითითებული უნდა იქნეს მხოლოდ **„უმჯობესია გამოყენებულ იქნეს..... მდე...“;**
- საჭიროების შემთხვევაში,მითითებული უნდა იქნეს შენახვის პირობები, თუ ამ პირობების დაცვა აუცილებელია იმისათვის, რომ სურსათი შენახულ იქნეს განსაზღვრული დროის განმავლობაში;
- თარიღი უნდა მოიცავდეს რიცხვს, თვეს და წელს ამავე თანმიმდევრობით და არაკოდირებული ფორმით;

ვარგისიანობის მინიმალური ვადა

ვარგისიანობის მინიმალური ვადა მითითებული უნდა იქნეს შემდეგი სახით:

- სურსათზე, რომელიც: არ შეიძლება შენახულ იქნეს 3 (სამ) თვეზე მეტი ვადით, საკმარისია, მითითებულ იქნეს მხოლოდ რიცხვი და თვე.
- თუ სურსათი ინახება 3 (სამ) თვეზე მეტი ვადით, მაგრამ არაუმეტეს 18 (თვრამეტი) თვის განმავლობაში, საკმარისია, მითითებულ იქნეს მხოლოდ თვე და წელი;
- თუ სურსათი ინახება 18 (თვრამეტ) თვეზე მეტი ვადით, საკმარისია მითითებულ იქნეს მხოლოდ წელი;
- განსაკუთრებით მალფუჭებადი სურსათისათვის სავალდებულოა მითითებულ იქნეს ასევე საათი.

„გამოიყენება---მდე“ ვადა

- სურსათი, რომელიც მიკრობიოლოგიური თვალსაზრისით მალფუჭებადია და შესაძლოა, ხანმოკლე პერიოდში წარმოქმნას ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკები, **„ვარგისიანობის მინიმალური ვადა“** უნდა შეიცვალოს **„გამოიყენება ... მდე“ ვადით.**

- **„გამოიყენება ... მდე“ ვადის** გასვლის შემდეგ სურსათი მიიჩნევა მავნედ, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად.

„გამოიყენება---მდე“ ვადა

„გამოიყენება.... მდე“ ვადის მითითება ხდება შემდეგი სახით:

- მას წინ უნდა უსწრებდეს სიტყვები „გამოიყენება..... მდე“;
- ამ ფრაზას თან უნდა ახლდეს: უშუალოდ თარიღი, ეტიკეტზე მინიშნება, თუ სად არის განთავსებული თარიღი;
- მითითებული უნდა იქნეს შენახვის პირობები;
- თარიღი მოიცავს რიცხვს, თვეს და შესაძლებელია წელს ამავე თანმიმდევრობით და არაკოდირებული ფორმით;
- „გამოიყენება.....მდე“ ვადა მითითებული უნდა იქნეს ყველა ინდივიდუალურად დაფასოებულ პორციაზე.

ვარგისიანობის მინიმალური ვადის და „გამოიყენება--მდე“ ვადის მითითება არ არის სავალდებულო

- ახალი ხილისა და ბოსტნეულისათვის, მათ შორის კარტოფილისათვის, რომელიც არ დაექვემდებარა გაფცქვნას, დაჭრას ან სხვა მსგავსი სახით დამუშავებას; **ეს გამონაკლისი არ ვრცელდება გაღივებულ თესლსა და სხვა მსგავს პროდუქტებზე (პარკოსნების ღივი);**
- ღვინის, შემაგრებული ღვინის, შუშხუნა (ცქრიალა) ღვინისა, არომატიზებულ ღვინისა და სხვა მსგავსი პროდუქტებისათვის, რომელიც წარმოებულია ხილისაგან, გარდა ყურძნისა და სასმელებისა, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 2206 00 კოდის შესაბამისად და წარმოებულია ყურძნისაგან ან ყურძნის ტკბილისაგან;
- სასმელებისათვის, რომელთა მოცულობითი სპირტშემცველობა 10% ან მეტს შეადგენს;

ვარგისიანობის მინიმალური ვადის და „გამოიყენება--მდე“ ვადის მითითება არ არის სავალდებულო

- პურფუნთუშეულისა და ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმისათვის, რომლებიც მათი შემადგენლობის გათვალისწინებით, მოიხმარება წარმოებიდან 24 საათის განმავლობაში;
- ძმრისათვის;
- სუფრის მარილისათვის;
- მყარი შაქრისათვის;
- საკონდიტრო ნაწარმისათვის, რომლებიც პრაქტიკულად სრულად შედგებიან არომატიზებული ან/და შეღებილი შაქრებისაგან;
- საღეჭი რეზინისა და სხვა მსგავსი პროდუქტებისათვის.

გაყინვის ან პირველადი გაყინვის თარიღი

- **გაყინული ხორცის, ხორცის ნახევარფაბრიკატების და გადაუმუშავებელი თევზჭერის პროდუქტების** ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს გაყინვის ან პირველადი გაყინვის თარიღი შემდეგი სახით:

- თარიღს წინ უნდა უსწრებდეს სიტყვები „გაყინულია ---“;
- სიტყვებს თან უნდა ახლდეს: უშაულოდ თარიღი; მინიშნება, თუ სად არის განთავსებული ეტიკეტზე თარიღი;
- თარიღი მოიცავს რიცხვს, თვესა და წელს, ამავე თანმიმდევრობითა და არაკოდირებული ფორმით.

შენახვის და გამოყენების პირობები

- თუ სურსათის შენახვის ან/და გამოყენებისათვის საჭიროა განსაკუთრებული პირობები, ეს პირობები უნდა იქნეს მითითებული.
- **შეფუთვის გახსნის შემდეგ სურსათის სათანადო შენახვისა და გამოყენების უზრუნველყოფისათვის,** მითითებული უნდა იქნეს გახსნის შემდეგ შენახვის პირობები ან/და საჭიროების შემთხვევაში, მოხმარების ვადა.
- სურსათის გამოყენების ინსტრუქცია მითითებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ შესაძლებელ იქნეს სურსათის სათანადოდ გამოყენება.

წარმოშობის ქვეყანა და წარმოშობის ადგილი

- **წარმოშობის ქვეყნის ან წარმოშობის ადგილის მითითება სავალდებულოა:**

- როდესაც აღნიშნულის არ მითითებამ, სურსათის წარმოშობის ქვეყანასთან ან წარმოშობის ადგილთან დაკავშირებით, შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი. კერძოდ, როდესაც სურსათის თანმხლები ინფორმაციის ან ეტიკეტის თანახმად, სურსათი სხვა წარმოშობის ქვეყნიდან ან წარმოშობის ადგილიდანაა;

- იმ შემთხვევაში, როდესაც მითითებულია სურსათის წარმოშობის ქვეყანა ან წარმოშობის ადგილი, რომელიც განსხვავდება მისი მთავარი, ძირითადი ინგრედიენტის წარმოშობის ქვეყნის ან წარმოშობის ადგილისაგან, აუცილებელია მითითებულ იქნეს ერთ-ერთი:

- მთავარი, ძირითადი ინგრედიენტის წარმოშობის ქვეყანა ან წარმოშობის ადგილი;

- ძირითადი ინგრედიენტის წარმოშობის ქვეყანა ან წარმოშობის ადგილი სურსათის წარმოშობის ქვეყნის ან წარმოშობის ადგილისაგან განსხვავებულია.

წარმოშობის ქვეყანა და წარმოშობის ადგილი

წარმოშობის ქვეყნის ან წარმოშობის ადგილის მითითება სავალდებულოა:

(სეს ესნ) კოდი	სურსათის სახეობა
0203	ღორის ხორცი, ახალი, გაცივებული ან გაყინული
0204	ცხვრის ან თხის ხორცი, ახალი, გაცივებული ან გაყინული
0207	ფრინველის ხორცი ჯგუფი 0105, ახალი, გაცივებული ან გაყინული
0201	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა (მსხვილფეხა საქონლის), ახალი ან გაციებული, ყველა პოზიცია.
0202	ჯგუფი 0202 - ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა (მსხვილფეხა საქონლის), გაყინული, ყველა პოზიცია.
0206 10 95	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (ახალი ან გაციებული) მსხვილი დიაფრაგმა და წვრილი დიაფრაგმა.
0206 29 91	მსხილფეხა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (გაყინული) მსხვილი დიაფრაგმა და წვრილი დიაფრაგმა.

ინფორმაცია კვებითი ღირებულების შესახებ

- **სავალდებულოა კვებითი ღირებულების შესახებ ეტიკეტზე მითითებულ იქნეს:**

- ენერგეტიკული ღირებულება (კილოჯოული - კჯ და კილოკალორია - კკალ);
- ცხიმები, მ.შ.ნაჯერი ცხიმოვანი მჟავები;
- ნახშირწყლები, მ.შ. შაქრები;
- ცილა;
- მარილი.
- საჭიროების შემთხვევაში, მონაცემები იმის შესახებ, რომ მარილის შემცველობა განპირობებულია ბუნებრივი წარმოშობის ნატრიუმის შემცველობით, განთავსებული უნდა იქნეს კვებითი ღირებულების შესახებ ინფორმაციის გვერდით;

- აღნიშვნა უნდა განხორციელდეს მასის ერთეულებით.

ინფორმაცია კვებითი ღირებულების შესახებ

- ინფორმაცია სურსათის ენერგეტიკული ღირებულებისა და საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტები) შესახებ გამოსახული უნდა იყოს 100გ/მლ სურსათისთვის.
- თუ სურსათის ენერგეტიკული ღირებულებისა და საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტები) შესახებ ინფორმაცია გამოსახულია %-ით, მასთან ახლოს მითითებული უნდა იქნას დამატებითი ინფორმაცია - **„ზრდასრული ადამიანისთვის რეკომენდირებულია მიიღოს 8400კჯ/2000კკალ“** - მსგავსი ფორმით.

ინფორმაცია კვებითი ღირებულების შესახებ

- სურსათის ენერგეტიკული ღირებულება და საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) რაოდენობა შესაძლებელია გამოხატული იქნეს მომხმარებლისათვის ადვილად გასაგებად, ერთ პორციაზე და/ან გამოყენებულ ერთეულზე გადაანგარიშებით, იმ პირობით, თუ ეტიკეტზე მითითებულია პორციის ან გამოყენებული ერთეულის რაოდენობა და შეფუთვაში პორციების ან გამოყენების ერთეულის რაოდენობა.

კვებითი ღირებულების აღნიშვნა არ არის სავალდებულო შემდეგი დასახელების სურსათისთვის

- გადაუმუშავებელი სურსათი, რომელიც შეიცავს მხოლოდ ერთ ინგრედიენტს, ან ერთი კატეგორიის ინგრედიენტებს;
- გადამუშავებული სურსათი, რომელიც დაექვემდებარა მხოლოდ მომწიფებას და შეიცავს, მხოლოდ ერთ ინგრედიენტს, ან ერთი კატეგორიის ინგრედიენტებს;
- წყალი, რომელიც განკუთვნილია ადამიანის მიერ უშუალოდ გამოყენებისათვის, მათ შორის წყლის ის სახეობები, რომელსაც დამატებული აქვს მხოლოდ ნახშირორჟანგი და/ან არომატიზატორები;

კვებითი ღირებულების აღნიშვნა არ არის სავალდებულო შემდეგი დასახელების სურსათისთვის

- ბალახოვანი მცენარეები (მწვანილი), სუნელ/სანელებლები ან მათი ნარევები;
- მარილი და მარილის შემცვლელები;
- სამაგიდე (სასუფრე) დამატკბობლები;
- ყავისა და ვარდკაჭაჭას ექსტრაქტი, ყავის მარცვლები ან დაფქვილი ყავა, ყავის მარცვლები ან დაფქვილი ყავა კოფეინის გარეშე;
- ბალახოვანი მცენარეები (მწვანილი), და ხილის ნაყენები, ჩაი, ჩაი კოფეინის გარეშე, ხსნადი ჩაი ან ჩაის ექსტრაქტი, ხსნადი ჩაი ან ჩაის ექსტრაქტი კოფეინის გარეშე, რომლებიც არ შეიცავენ სხვა ინგრედიენტებს, გარდა არომატიზატორებისა, რომლებიც არ ცვლიან ჩაის კვებით ღირებულებას;

კვებითი ღირებულების აღნიშვნა არ არის სავალდებულო შემდეგი დასახელების სურსათისთვის

- ფერმენტირებული ძმარი ან ძმრის შემცვლელი, რომელსაც ინგრედიენტის სახით დამატებული აქვს მხოლოდ არომატიზატორი;
- არომატიზატორები;
- საკვებდანამატები;
- დამხმარე ტექნოლოგიური დანამატები;
- საკვები ფერმენტები;
- ჟელატინი;
- ლაბის(ჟელეს) წარმომქმნელი კომპონენტები;
- საფუვრები;
- საღეჭი რეზინი.

კვებითი ღირებულების აღნიშვნა არ არის სავალდებულო შემდეგი დასახელების სურსათისთვის

- შეფუთული ან ტარაში (კონტეინერი) მოთავსებული სურსათი, რომლის ზედაპირის მაქსიმალური ფართობი ნაკლებია 25 სმ^2;
- სურსათი, უშუალოდ ხელით მომზადებული სურსათის ჩათვლით, რომელიც მცირე რაოდენობით მიეწოდება მწარმოებლიდან უშუალოდ მომხმარებელს.
- სურსათი, რომელიც მიეწოდება ადგილობრივ საცალო ვაჭრობის პუნქტს და უშუალოდ მიეწოდება საბოლოო მომხმარებელს.

კვებითი ღირებულების აღნიშვნა

- სურსათზე, რომელიც საბოლოო მომხმარებელს ან საზოგადოებრივი კვების ობიექტებს გასაყიდად წარედგინება დაფასოების გარეშე, ან როდესაც სურსათის დაფასოება ხდება საცალო ვაჭრობის პუნქტში მომხმარებლის თხოვნით ან წინასწარ დაფასოებულია დაუყონებლივ (უშუალოდ) რეალიზაციის მიზნით, **კვებითი ღირებულების აღნიშვნა შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს მხოლოდ ენერგეტიკული ღირებულებით** ან ენერგეტიკული ღირებულება ცხიმის, ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების, შაქრისა საკვები და მარილის რაოდენობასთან ერთად.
- თუ ზედაპირის ფართობი საშუალებას იძლევა, კვებითი ღირებულების შესახებ ინფორმაცია გამოსახული უნდა იქნეს **ცხრილის სახით და ციფრები სვეტის სახით.** სხვა შემთხვევაში, როდესაც ზედაპირის ფართობი საშუალებას არ იძლევა, საკვები ნივთიერებები (ნუტრიენტები) გამოსახული უნდა იქნეს სწორხაზოვნად.

ენერგეტიკული ღირებულებისა და საკვები ნივთიერებების სადღეღამისო გამოყენების რეკომენდირებული ნორმები

ენერგეტიკული ღირებულება ან საკვები ნივთიერება (ნუტრიენტი)	გამოყენების რეკომენდებული ნორმა
ენერგეტიკული ღირებულება	8400 კჯ/2000 კკა
ცხიმის საერთო რაოდენობა	70 გ
ნაჯერი ცხიმოვანი მჟავები	20 გ
ნახშირწყლები	260 გ
შაქრები	90 გ
ცილა	50 გ
მარილი	6 გ

ვიტამინებისა და მინერალების სადღეღამისო გამოყენების რეკომენდირებული ნორმები

დასახელება	სადღეღამისო გამოყენების რეკომენდებული ნორმა	დასახელება	სადღეღამისო გამოყენების რეკომენდებული ნორმა
ვიტამინი A	800 მკგ	ქლორიდი	800 მგ
ვიტამინი D	5 მკგ	კალციუმი	800 მგ
ვიტამინი E	12 მგ	ფოსფორი	700 მგ
ვიტამინი K	75 მკგ	მაგნიუმი	375 მგ
ვიტამინი C	80 მგ	რკინა	14 მგ
თიამინი	1,1 მგ	თუთია	10 მგ
რიბოფლავინი	1,4 მგ	სპილენძი	1 მგ
ნიაცინი	16 მგ	მანგანუმი	2 მგ
ვიტამინი B_6	1,4 მგ	ფტორიდი	3,5 მგ
ფოლიუმის მჟავა	200 მკგ	სელენი	55 მკგ
ვიტამინი B_{12}	2,5 მკგ	ქრომი	40 მკგ
ბიოტინი	50 მკგ	მოლიბდენი	50 მკგ
პანტოტეინის მჟავა	6 მგ	იოდი	150 მკგ
კალიუმი	2 000 მგ		

ვიტამინებისა და მინერალების მნიშვნელოვანი რაოდენობა („წყარო“) აღნიშვნა

- საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტის) რეკომენდებული ნორმის 15 %,100 გ ან 100 მლ სურსათისათვის, გარდა სასმელებისა;
- საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტის) რეკომენდებული ნორმის 7,5%, 100 მლ სასმელისათვის;
- საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტის) რეკომენდებული ნორმის 15%, ერთი პორციისათვის, თუ შეფუთვაში მხოლოდ ერთი პორციაა.

გადაანგარიშების კოეფიციენტები ენერგეტიკული ღირებულებისათვის

ნახშირწყლები (გარდა პოლიოლებისა)	17 კჯ/გ - 4 კკალ/გ
პოლიოლები	10 კჯ/გ - 2.4 კკალ/გ
ცილა	17 კჯ/გ - 4 კკალ/გ
ცხიმი	37 კჯ/გ - 9 კკალ/გ
სალატრიმი	25 კჯ/გ - 6 კკალ/გ
სპირტი (ეთანოლი)	29 კჯ/გ - 7 კკალ/გ
ორგანული მჟავები	13 კჯ/გ - 3 კკალ/გ
ბოჭკოვანი ნივთიერებები (საკვები ბოჭკოები)	8 კჯ/გ - 2 კკალ/გ
ერითრიტოლი (მრავალატომიანი სპირტი)	0 კჯ/გ - 0 კკალ/გ

სურსათის დისტანციური რეალიზაცია

- დისტანციური რეალიზაციისას, როდესაც ხდება დაფასოებული სურსათის შეთავაზება დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით, **სავალდებულო ინფორმაცია, ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესყიდვის განხორციელებამდე** და ასახული უნდა იქნეს დისტანციური რეალიზაციის თანმხლებ მასალაში ან ბიზნესოპერატორის მიერ მკაფიოდ განსაზღვრული სხვა შესაბამისი საშუალებებით.
- სხვა შესაბამისი საშუალებების გამოყენებისას, ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის შესახებ **სავალდებულო ინფორმაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს მომხმარებლისათვის დამატებითი დანახარჯების დაკისრების გარეშე.**
- სურსათის შესახებ სავალდებულო ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იქნეს სურსათის გადაცემის (მიწოდების) დროს.

სპირტშემცველობა

- სასმელებში, რომელთა მოცულობითი სპირტშემცველობა 1.2%-ს აღემატება, სპირტშემცველობის ფაქტობრივი სიდიდე გამოსახული უნდა იქნეს ციფრებით, მძიმის შემდეგ არაუმეტეს ათობითი მნიშვნელობით. ამ ციფრის შემდეგ უნდა განთავსდეს სიმბოლო „%“ Vol.“, ამ სიმბოლოს წინ შესაძლებელია განთავსდეს სიტყვა „alk“.
- სპირტშემცელობის განსაზღვრა უნდა მოხდეს 20^0 C ტემპერატურაზე.

გამონაკლისები სავალდებულო ინფორმაციის წარდგენასთან დაკავშირებით

- თუ საბოლოო მომხმარებელს ან საზოგადოებრივი კვების ობიექტს მიეწოდება **დაუფასოებელი სურსათი, მის გარე შეფუთვაზე** აუცილებელია ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ინფორმაციის წარდგენა.
- თუ სურსათის დაფასოება ხდება რეალიზაციის ადგილებში, მომხმარებლის თხოვნის საფუძველზე ან დაუყოვნებლივ გაყიდვის მიზნით, **სავალდებულოა, მხოლოდ ალერგიის გამომწვევი ან მომეტებული მგრძნობელობის მქონე ნივთიერებების ან პროდუქტების აღნიშვნა.**

გამონაკლისები სავალდებულო ინფორმაციის წარდგენასთან დაკავშირებით

- ბიზნესოპერატორი ვალდებულია, სარეალიზაციოდ განკუთვნილი **დაფასოებული, წინასწარ შეფუთული სურსათის გარე შეფუთვაზე** განათავსოს შემდეგი ინფორმაცია:

- სურსათის დასახელება (სახეობა);

- ვარგისიანობის მინიმალური ვადის გასვლის, ან „გამოიყენება ...მდე“ თარიღი;

- შენახვის ან გამოყენების ნებისმიერი განსაკუთრებული პირობები;

- ბიზნესოპერატორის (მათ შორის იმპორტიორი) დასახლება და მისამართი;

- დამზადების თარიღი ან პარტიის ნომერი.

გამონაკლისები სავალდებულო ინფორმაციის წარდგენასთან დაკავშირებით

- შეფუთულ ან ტარაში მოთავსებულ სურსათის შეფუთვაზე ან ეტიკეტზე, თუ მისი ყველაზე დიდი ზედაპირის ფართობი 10 სმ^2-ზე ნაკლებია, **სავალდებულოა** წარდგენილ იქნეს მხოლოდ:

- სურსათის დასახელება (სახეობა);
- ალერგიის გამომწვევი ან მომეტებული მგრძნობელობის მქონე ნივთიერებები ან პროდუქტები;
- სურსათის ნეტო (სუფთა) წონა;
- ვარგისიანობის მინიმალური ვადის გასვლის, ან „გამოიყენება ...მდე“ თარიღი.

- ინგრედიენტების ჩამონათვალის წარდგენა უნდა მოხდეს სხვა საშუალებებით ან მომხმარებლის მოთხოვნის საფუძველზე.

გამონაკლისები სავალდებულო ინფორმაციის წარდგენასთან დაკავშირებით

- იმ სასმელის ეტიკეტზე, რომლის მოცულობითი სპირტშემცველობა 1,2%-ს აღემატება **სავალდებულო არ არის** შემდეგი მონაცემების წარდგენა:

- ინგრედიენტების ჩამონათვალი;

- ინფორმაცია კვებითი ღირებულების შესახებ.

საკვედანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის (#585, 23.12.2016) მიხედვით:

საღებავები, რომელთა შესახებ სურსათის ეტიკეტი უნდა მოიცავდეს დამატებით ინფორმაციას

სურსათი შეიცავს ერთ ან მეტ შემდეგ საღებავს	ინფორმაცია
ყვითელი „მზის ჩასვლა“(E 110) (*)	„საღებავ(ებ)ის დასახელება ან ნომერი (ნომრები)“: შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს ბავშვთა ყურადღებიანობასა და აქტიურობაზე
ქინოლის ყვითელი (E 104) (*)	
კარმუაზინი (E 122) (*)	
წითელი ალურა (E 129) (*)	
ტარტრაზინი (E 102) (*)	
ალისფერი პონსო 4 R(E 124) (*)	

(*) გარდა:

- სურსათისა, რომელშიც საღებავ(ებ)ი გამოყენებული იქნა ხორცის პროდუქტების ჯანმრთელობის ან სხვა სახის ნიშანდებისათვის ან კვერცხის ნაჭუჭის დეკორატიული შეღებვის (მოსართავები) ან შტამპისათვის;
- სასმელებისა, რომელთა მოცულობითი სპირტშემცველობა 1,2 %-ს აღემატება.

საკვედანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის (#585, 23.12.2016) მიხედვით:

- ბაზარზე განთავსებისა და სურსათში გამოყენებისათვის **დაშვებულია** მხოლოდ დადგენილების დანართი №1-ით განსაზღვრული საკვებდანამატები;
- საკვებდანამატებში, საკვებ (სასურსათო) ფერმენტებში, არომატიზატორებში, საკვებ ნივთიერებებში (ნუტრიენტები) **დასაშვებია** გამოყენებულ იქნეს, მხოლოდ დადგენილების დანართი №2-ით განსაზღვრული საკვებდანამატები;
- **დაუშვებელია** საკვებდანამატების გამოყენება გადაუმუშავებელ სურსათში, გარდა დადგენილების დანართი №1-ით განსაზღვრული განსაკუთრებული შემთხვევებისა;
- **დაუშვებელია** საკვებდანამატების გამოყენება ჩვილ და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილ სურსათში, ასევე ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილ განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულების დიეტურ სურსათში, გარდა დადგენილების დანართი №1-ით განსაზღვრული შემთხვევებისა.

სურსათის შესახებ ნებაყოფლობითი ინფორმაცია

- სურსათის შესახებ ნებაყოფლობით ინფორმაციას **შეცდომაში არ უნდა შეჰყავდეს მომხმარებელი.**
- არ უნდა იყოს მომხმარებლისთვის ორაზროვანი და წინააღმდეგობრივი.
- საჭიროების შემთხვევაში უნდა ეფუძნებოდეს არსებულ მეცნიერულ მონაცემებს.
- სურსათის შესახებ ნებაყოფლობითი ინფორმაცია არ უნდა განთავსდეს სავალდებულო ინფორმაციისათვის განკუთვნილი სივრცის შეზღუდვის ხარჯზე.

სურსათის შესახებ ნებაყოფლობითი ინფორმაცია

- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბერის №510 დადგენილება „სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“.
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბერის №508 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ “.
- **სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის ავტორიზაციას** ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ბიზნესოპერატორის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები

- სურსათის შესახებ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ბიზნესოპერატორი, **მათ შორის იმპორტიორი.**
- ბიზნესოპერატორი, რომელიც პასუხისმგებელია სურსათის შესახებ ინფორმაციის წარდგენაზე, ვალდებულია უზრუნველყოს სურსათის შესახებ ინფორმაციის არსებობა, მისი სიზუსტე და შესაბამისობა ამ ტექნიკური რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებთან.

ბიზნესოპერატორის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები

- ბიზნესოპერატორმა, რომელიც არ არის დაკავშირებული სურსათის შესახებ ინფორმაციის წარდგენასთან, **არ უნდა განათავსოს ბაზარზე ისეთი სურსათი,** რომელთა შესახებ მან იცის, ან პროფესიული ცოდნის საფუძველზე, ვარაუდობს, რომ ასეთი სურსათი არ შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებს.
- **დაუშვებელია** ბიზნესოპერატორის მიერ, მისი საქმიანობის ფარგლებში, სურსათის თანმხლები ინფორმაციის შეცვლა, თუ ასეთი ცვლილება შეცდომაში შეიყვანს საბოლოო მომხმარებელს ან სხვაგვარად შეამცირებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის დონეს ან ინფორმირებული არჩევანის შესაძლებლობას. ბიზნესოპერატორი პასუხისმგებელია სურსათის თანმხლები ინფორმაციის ნებისმიერ ცვლილებაზე.

ადმინისტრირება

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მე-18 მუხლის 1-4 ნაწილების მიხედვით:

- სარეალიზაციოდ განკუთვნილი სურსათი ეტიკეტირებული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
- ღვინო და ყურძნისეული წარმოშობის სხვა ალკოჰოლიანი სასმელი - „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი ან მისგან დამზადებული სურსათი - „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- **დაუშვებელია** ბაზარზე ისეთი სურსათის განთავსება, რომლებიც არ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო ამ მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში **ბიზნესოპერატორმა უნდა უზრუნველყოს მათი ბაზარზე განთავსების აღკვეთა ან ბაზარზე უკვე განთავსებულის ამოღება.**

ადმინისტრირება

მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესის, სურსათის ეტიკეტირების წესის დარღვევა გამოიწვევს:

- მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ბიზნესოპერატორის (წლის განმავლობაში ბრუნვა არაუმეტეს 200 000 ლარი) დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით;
- ყველა სხვა ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით.
- იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით 1 წლის განმავლობაში, ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 600 ლარის ოდენობით.

სურსათის ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი მუხლი 74-1; 1 - 6 ნაწილები.

ადმინისტრირება

სურსათად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და გენმოდიფიცირებული პროდუქტის კანონმდებლობით დადგენილი ეტიკეტირების წესების დარღვევა, გამოიწვევს:

- ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით;
- იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 10000 ლარის ოდენობით.

საქართველოს კანონი „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“. მუხლი 10; პუნქტები 3-4.

გარდამავალი პერიოდი

- დადგენილების ამოქმედებისთანავე (2019 წლის 1 მარტი) ძალადაკარგულად გამოცხადდება დღეისათვის მოქმედი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #441 დადგენილება - „ტექნიკური რეგლამენტი სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ დამტკიცების თაობაზე“.
- სურსათი, რომელიც ბაზარზე განთავსებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე და არ შეესაბამება ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, დასაშვებია ბაზარზე განთავსებულ იქნეს სურსათის „ვარგისიანობის მინიმალური ვადის“ ან „გამოყენება....მდე“ ვადის ან „შენახვის ვადის“ გასვლამდე.

მადლობა ყურადღებისთვის!

კითხვები?